სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/09

(ოქმი N6)

ქ. ბათუმი 06 მაისი 2016 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (რადიოს ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშრებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლისპირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ''ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად:

1. მიღებულ იქნას სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (რადიოს ნაწილში) პროგრამული პრიორიტეტების პროექტი თანდართული სახით;

2. საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რადგანაც ინდივიდუალურ-ადიმინსტრაციული აქტი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (რადიოს ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით;

3. წინამდებარე გადაწყვეტილება და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (რადიოს ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი განთავსდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge).

4. ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (რადიოს ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ) განთავსდეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge).

5. გადაწყვეტილება ძალაშია 2016 წლის 06 მაისიდან.

დანართი:

1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (რადიოს ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტი.

2. ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (რადიოს ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ).

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში